არქიმანდრიტი რაფაელი

საშინელი სამსჯავრო

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა!

ძმანო და დანო! უფალო, რომელმაც ერთხელ შექმნა სიცოცხლე, საშინელ სამსჯავროზე მტვერისა და ხრწნილებისაგან აღადგენს კაცობრიობის ადამიდან ვიდრე უკანასკნელ დღემდე. მართალნი აღდგებიან მსგავსნი ქრისტე მაცხოვრისა, ანგელოზური ბრწყინვალებით და საღმრთო ნათლით გაცისკროვნებულნი. ცოდვილნი - შავბნელი და მყრალი სხეულით, მსგავსი მათ მიერვე ჩადენილი ცოდვებისა. ძმანო და დანო, ყოველი აზრი, სიტყვა ან საქმე მსგავსია თესლისა, რომელსაც ჩვენი გულის სიღრმეში ვთესავთ, მსგავსად ხნულში ჩაგდებული მარცვლისა. მარადისობაში ამ თესლისგან აღმოცენდება ან ბრწყინვალე, სურნელოვანი ყვავილები ან შხამიანი, ეკლოვანი მცენარეები.

სამსჯავროს ეწოდება საშინელი იმიტომ, რომ მასზედ მოხდება განკითხვა, არა მხოლოდ კაცთა, არამედ ასევე ანგელოზთა. დემონები იხილავენ თავიანთ თავს, როგორც ოდესღაც მშვენიერ ანგელოზებს, რომელნიც უგალობდნენ უფალს ქერუბიმთა საგალობელს კაცთათვის გა???აზე. ესაა საგალობელი, ესაა ჰიმნი, ესაა მხურვალე სიყვარული და სწრაფვა წმინდა სულებისა ღვთისკენ. სატანა, რომელიც ერთ დროს სერაფიმთა დასს ეკუთვნოდა, იხილავს, როგორ აღსდგა იგი უფლის წინააღმდეგ, როგორ გადაიქცა საშინელ ჯოჯოხეთურ არსებად, უზარმაზარ ობობად, რომელმაც ცოდვის ქსელში გაახვია მთელი სამყარო, იგი იხლავს, თუ როგორ გადაიქცა საზარელ ჯოჯოხეთურ გველად, რომელმაც სასიკვდილოდ მოშხამა უთვალავი მსხვერპლი. იგი ამ ქვეყნად ჩადენილი ყველა ცოდვის უხილავი თანამონაწილეა. ყოველ ბოროტებაში მისი სასიკვდილო სუნთქვა ისმის, ყოველ დანაშაულში - მისი ქვემძრომელი მზაკვრობაა. სატანა იხილავს საშინელ სამარეს - ჯოჯოხეთს, რომელიც თვითონვე გაუმზადა საკუთარ თავს. იგი იხილავს შავ ჯოჯოხეთურ ცეცხლს, საკუთარ მსხვერპლთათვის დანთებულს და რომელშიც საბოლოოდ თვითონვე უნდა იტანჯოს დაუსრულებლად.

სამსჯავროს ეწოდება საშინელი, იმიტომ, რომ იგი იქნება საყოველთაო. ისევე როგორც ვერავინ გაექცევა სიკვდილს, ასევე ვერავინ შესძლებს დააღწიოს საშინელ სამსჯავროს თავი. მკვდრეთით აღდგებიან მართალნიც და ცოდვილნიც. მაშინ სხეული მიემსგავსება სულს, იგი აღარ იქნება ნივთიერი, ხორციელი, შედგენილი მიწისა და წყლისაგან, არამედ იქნება სულიერი და უხრწნადი. მართალნი იქნებიან მსგავსნი მკვდრეთით აღდგომილი ქრისტე მაცხოვრისა. ეფრემ ასური გვაუწყებს საიდუმლოს - ყოველი ჩვენგანი აღსდგება 33 წლის ასაკში. რას ნიშნავს ეს? ადამიანი ამქვეყნიურ ცხოვრებაში გადის თავისი განვითარების განსაზღვრულ ციკლს. ოცდაათი წელი ესაა ადამიანის სულის უმაღლესი განვითარების პერიოდი. ე.ი. ესაა ადამიანური სრულყოფილება ამ სიტყვის მიწიერი გაგებით. ღრმა მოხუცები და ჩვილები აღსდგებიან არა მიწიერ ასაკში, რომელშიც ისინი აღესრულებიან, არამედ აღსდგებიან სრულყოფილ ასაკში, ამავე დროს ახლობლები და ნათესავები შეიცნობენ ერთმანეთს.

სამსჯავროს ეწოდება საშინელი იმიტომ, რომ მასზედ გაშიშვლდება ყველა ჩვენი საქმე, ყველა ჩვენი აზრი, სიტყვა, ღრმა, დაფარული გულის ზრახვები. იმას, რასაც ფარულად ვიქმოდით, გამჟღავნდება

ცხადად, იგი, რასაც მარტო ჩვენ თვითონ ვცოდავდით, გაშიშვლდება მთელი ქვეყნის წინაშე. როდესაც ჩვენ ცოდვებს სრული სიცხადით ვიხილავთ, მათ საშინელებას და სიბილწეს, მაშინ ჩვენ მზად ვიქნებით წამოვიძახოთ: მთებო, ჩუმოგვექეცით თავზე და დაგვიფარეთ ამ სირცხვილისაგან!

დანო და ძმანო, წმინდა მამები ამბობდნენ, რომ ჩვენ გვაქვს ე.წ. გულის მეხსიერება. ისინი მას გულის საკანს უწოდებენ, სადაც იწერება ყველაფერი, მთელი ჩვენი შინაგანი და გარეგანი ცხოვრება და აი, საშინელ სამსჯავროზე გადაიშლება ეს წიგნი, დაწერილი ჩვენი სულის სიღრმეში და მხოლოდ მაშინ დავინახავთ, თუ როგორები ვართ სინამდვილეში და არა ისეთები, როგორსაც ხატავდა ამას ჩვენი გაალმასებული ამპარტავნება. დავინახავთ ასევე, თუ რამდენგზის მოგვიხმობდა სულიწმიდა გადარჩენისათვის. გვსჯიდა, შეგვიწყნარებდა, ჩვენ კი რა მედგრად ვეწინააღმდეგებოდით ღვთის წყალობას და მივილტვოდით მხოლოდ ცოდვებისა და ვნებებისაკენ. ჩვენს კეთილ საქმეებს კი ჩვენი პირფერობის სიამაყის და ანგარების „წყალობით“ ვიხილავთ როგორც მატლთაგან გამოჭმულს.

დანო და ძმანო, სამსჯავროს ეწოდება საშინელი იმიტომ, რომ ის იქნება საბოლოო. ჩვენთვის ამ ქვეყნად სანამ ვცოცხლობთ, გამუდმებით შესაძლებელია სინანული, როგორც ცოდვის ბნელი საპყრობილიდან თავისუფლებისაკენ გამავალი კარი. საშინელ სამსჯავრომდე ჩვენ შეგვეწევა ეკლესიისა და ახლობლების ლოცვა, მაგრამ საშინელი სამსჯავრო იქნება საბოლოო და მის შემდეგ სამსჯავრო აღარ იქნება. საშინელ სამსჯავროზე საბოლოოს გაიყოფა კეთილი და ბოროტი, ნათელი და ბნელი. მართალნი დაიმკვიდრებენ სამუდამო ცხოვრებას, ესაა მარადიული მსგავსება ქრისტე მაცხოვართან, მარადიული გაბრწყინება ღვთიური ნათელით.

მარადიულ ცხოვრებაში ყოველი წამი იქნება სულ ახალი და ახალი, სულ მეტი ბედნიერების, სიხარულის, სინათლის და ნეტარების მომტანი.

მარადიული სიკვდილი ცოდვილისა, ესაა მიმსგავსება სატანასთან, უფრო და უფრო ღრმად ჩაძირვა წყვდიადის ოკეანეში. ჯოჯოხეთი - ეს არის ადგილი მივიწყებული. ეს ის ადგილია, სადაც არ აღწევს ღვთის წყალობის სხივები, ჯოჯოხეთი აღხოცილია ღვთის სიყვარულიდან.

დანო და ძმანო! ზოგიერთი თქვენგანი იკითხავს: შეიძლება ცხოვნებული იყოს ბედნიერი, როდესაც მისი ახლობლები და ნათესავები ჯოჯოხეთში იქნებიან, ისინი ვისთანაც მათ აკავშირებდათ სიყვარული ამქვეყნიურ ცხოვრებაში? ეს რთული კითხვაა. როდესაც ჩვენ გვიყვარს ესა თუ ის ადამიანი, ჩვენ გვიყვარს იგი რაიმე სათნოებისთვის. ხოლო აღმდგარი ცოდვილები იქნებიან ცოდვისა და ბოროტების განსახიერება. ისინი დემონების დარი იქნებიან. ამიტომ ჩვენ მათ სიყვარულს ვერ შევძლებთ, ისევე როგორც ვერ შევიყვარებთ ჭირის ან ცოფის ბაცილას. წარმოიდგინეთ, თუნდაც უახლოესი ადამიანი რომ წარმოგიდგეთ გველის ან მორიელის სახით, თქვენ ვერ შეძლებთ მის სიყვარულს, მეტიც, ძრწოლით დაიხევდით უკან. ასე იქნებიან სამუდამოდ ტანჯვისათვის განწირულნი. ისინი იქნებიან აღსავსე არა მარტო სასოწარკვეთილებითა და სევდით, არამედ სატანისტური ამპარტავნებითაც. ცოდვილის სული იქნება ანთებული ღმერთისა და სიწმინდის სიძულვილის ალით და ამ სიძულვილით ისინი სიამოვნებით დაწვავდნენ თვით ზეცას და სამოთხეს.

დანო და ძმანო! სამოთხის ნეტარება - ესაა ღვთის სიყვარულისა და წმინდანთა ურთიერთსიყვარულის ნეტარება. სერაფიმე საროველი წერს: ადამიანმა რომ იცოდეს რა საშინელია

ჯოჯოხეთი, და რა ტკბილია სამოთხე, ყველანაირ ტანჯვას გაუძლებდა აქ მიწაზე. ერთხელ ღირსი სვიმეონი, ახალ ღვთისმეტყველად წოდებული, ისე გაბრწყინდა სული წმიდისაგან, რომ წამოიძახა: ო, ღმერთო! ალბათ ამ ნეტარებაზე აღმატებული არაფერი არსებობს ქვეყნად! და პასუხად მიიღო: იგი რასაც წმიდანები განიცდიან ამქვეყნად ხორციელი ყოფნის ჟამს, სამოთხისეულ ნეტარებასთან შედარებით მოგვაგონებს ქაღალდის კუთხეში დახატული და ცაზე მოკაკაშე მზის შედარებას.

ეფრემ ასური წერს, რომ მაშინ სულთა ურთიერთობა სხვაგვარი იქნება. არსებობს მაცხოვრის სიტყვები, რომელნიც დაცულია არა სახარებაში, არამედ მამებთან: იმქვეყნად შინაგანი იქნება, როგორც გარეგანი. ხოლო გარეგანი, როგორც შინაგანი. ე.ი. გარეგანი ეს სხეულია, შინაგანი - სული. სხეული განსულიერდება, მსგავსი გახდება სულისა. შინაგანი - სული გახდება როგორც გარეგანი, ე.ი. იქნება ხილული. ეფრემ ასური წერს: მოისურვებ თუ არა იყო წმიდა მოწამეებთან, მათ ირგვლივ აღმოჩნდები; მოისურვებ თუ არა დატკბე მართალთა ტკბილმოუბრობით, არა ენით, არა ბაგეებით, არამედ გულითა და სულით შესძლებ მათთან საუბარს, ე.ი. შენ იხილავ მათ სულებს შენი სულით; დატკბები მათი სილამაზისა და სიყვარულის ჭვრეტით, რაც წმინდანთაგან ყველაზე გადმოედინება.

დანო და ძმანო! სამოთხეში, მხოლოდ მარადიულ ცხოვრებაში შეიმეცნებს ადამიანი ტანჯვის საიდუმლოებას, რომ ამქვეყნად, მიწაზე მწუხარება, შრომა და განსაცდელი - ესაა ღვთის უდიდესი წყალობა და ადამიანი სვამს იმ ბარძიმიდან, რომლიდანაც სვამდა თვით უფალი იესო ქრისტე. ჩვენ ამიტომაც მარადიულ ცხოვრებაში მადლობელი ვიქნებით ჩვენი მტრებისა, მადლობელი ვიქნებით მაწყევართა, მათი, ვინც უსამართლოდ მოგვექცნენ, იმიტომ, რომ ისინი უნებლიედ ხელს უწყობდნენ ჩვენს გადარჩენას. აქ ამქვეყნად ჩვენთვის მრავალი რამაა გაუგებარი, მაგრამ აქ ჩვენ მხოლოდ პირველ გვერდს ვხედავთ წიგნისა, რომელიც გაცხადდება მარადისობაში და იქ ჩვენ შევიგრძნობთ მთელ სიღრმეს ღვთიური სიბრძნისა, მთელს ძალას ღვთის სიყვარულისა.

დანო და ძმანო! ერთხელ ალექსანდრიის ეპისკოპოსი თეოფილე ნიტრიის მთას ეწვია და ყველაზე გამოცდილ ბერს ჰკითხა: „ყველაზე საუკეთესო რა ჰპოვე სულიერ ცხოვრებაში?“ და მან უპასუხა: „ყველაფერში საკუთარ თავს ვადანაშაულებდი“. ეპისკოპოსმა დასძინა: „ეს არა მარტო საუკეთესო, არამედ ერთადერთი გზაა გადარჩენისათვის“.

მაშ, დანო და ძმანო, მუდამ გვახსოვდეს საშინელი სამსჯავრო, ფხიზლად გვეპყრას საკუთარი სინდისი, რათა იგი მკაცრად გვამხილებდეს ჩვენ და მაშინ საშინელი სამსჯავრო იქნება ჩვენთვის მარადიული ცხოვრების კარიბჭე!

ამინ!

არქიმანდრიტი რაფაელი

ღვთისა და ადამიანის სიყვარულის შესახებ

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა! ძმანო და დანო! ერთმა კაცმა იესო ქრისტეს ჰკითხა: „რომელი მცნებაა უდიდესი რჯულში? ხოლო იესომ უთხრა მას: შეიყვარე უფალი ღმერთი

შენი მთელი შენი გულით, და მთელი სულით, და შენი გონებით. ეს არის დიდი და პირველი მცნება. და მეორე მსაგვსი მისია შეიყვარე მოყვასი შენი, როგორც თავი შენი“ (მათე 22, 36-39).

ერთმა მწირმა წმინდა ადგილების მოლოცვის დროს გაიგო, რომ ერთ-ერთ უდაბნოში მოღვაწეობდა მაღალი სულიერებით გამორჩეული სქემოსანი ბერი, მან გადაწყვიტა სწვეოდა მას და აღსარება ჩაებარებინა. სქემმონაზონმა ის სიყვარულით მიიღო და უთხრა, რომ აღსარება ფურცელზე დაეწერა. მწირმა რამდენიმე დღე დაჰყო სავანეში, ღვთის წინაშე დიდი სინანულით ჩამოწერა თავისი ცოდვები და ბერს მისცა. მან ყურადღებით წაიკითხა აღსარება და უთხრა: „შენ, ძმაო, ბევრი რამ ზედმეტი დაგიწერია, შენ ინანიებ ერთსა და იმავე ცოდვებს, რომლებიც უფალმა უკვე მოგიტევა; არ გწამს აღსარების საიდუმლოსი, ამიტომ ხელახლა ამბობ მონანიებულ ცოდვებს. ნუთუ არ გჯერა, რომ შენთვის დაღვრილმა ქრისტეს სისხლმა წარხოცა შენი ცოდვები? საკმარისია მათი ერთხელ მონანიება! გარდა ამისა, ყურადღებას ამახვილებ სხვადასხვა გარემოებებზე, რომელთაც სრულიად არა აქვთ კავშირი შენს ცოდვებთან; დაწვრილებით ყვები გონებრივ ცოდვებზე. ეს არ არის საჭირო, მათი განხილვისას შესაძლოა ხელმეორედ წაიბილწო სული მოგონებებით. შენ ასახელებ სხვადასხვა ადამიანებს; აღსარებაში სახელების დასახელება არ არის საჭირო, ილაპარაკე მხოლოდ საკუთარ თავზე. და ბოლოს, არ გითქვამს ყველაზე მთავარი, რომ შენ არ გიყვარს ღმერთი და რომ შენ არ გიყვარს ადამიანი“.

მწირმა უპასუხა: „მამაო, როგორ არ მიყვარს ღმერთი?! მე ხომ მისთვის დავტოვე ყველაფერი და დავეხეტები, როგორც გლახაკი? როგორ არ მწამს სახარებისა, მისი წმინდა სიტყვებისა, მაშ, ვიღასი უნდა მჯეროდეს ამ ქვეყანაზე?! როგორ არ მიყვარს ადამიანები?! მე ხომ მათი მოწყალებით ვცოცხლობ? ყოველი ადამიანი, რომელიც ერთ კაპიკს ან ერთ ლუკმა პურს მაწვდის, ჩემი კეთილისმყოფელია, შიმშილით სიკვდილისაგან მიცავს, როგორ დავაყენო თავი მათზე მაღლა, როცა კონკების გარდა არა გამაჩნია რა?!“

სქემმონაზონმა ამაზე მიუგო: „ძმაო, შენ ჯერ კიდევ არ შეგიცვნია შინაგანი სულიერი ცხოვრება, ამიტომ კარგად არ იცნობ შენს გულს და ვერ გაიგე სრულიად, რის შესახებ გელაპარაკები მე. აი, წაიკითხეხ აღსარება, რომელიც ჩემმა სულიერმა შვილმა მომიტანა ახლახანს“. მან მისცა მას ფურცელზე დაწერილი აღსარება. მწირმა ხმამაღლა დაიწყო კითხვა: „ყურადღებით ვსწავლობდი რა ჩემს ცხოვრებას, მივხვდი, რომ სრულიად არ მიყვარს ღმერთი. ვინც მიყვარს, იმის სიყვარულს გულით ვატარებ და ტკბილად ვიხსენებ მის სახელს; ვინც მიყვარს, ის ყოველთვის მახსოვს და ვფიქრობ მასზე, მაგრამ ბევრს ვფიქრობ მე ღმერთზე? ჩემი ფიქრების უმრავლესობა ეხება წარმავალს, ამქვეყნიურ ამაოებას და ცოდვებს. დღეღამეში, ოცდაოთხი საათის განმავლობაში, ერთ საათს თუ დავუთმობ ხოლმე ფიქრებს ღმერთზე. როდესაც ღმერთზე ვფიქრობ, ამას უხალისოდ და იძულებით ვაკეთებ; მაგრამ თუ ამ დროს ვინმე ახალ ამბავს მომიტანს, მაშინ ხარბად ვიწოვ თითოეულ სიტყვას. როდესაც სახარებას და წმინდა მამათა წიგნებს ვკითხულობ, მაშინვე მავიწყდება წაკითხული; ახალი ამბები და ჭორები კი მრავალი წლის განმავლობაში მახსოვს. ეს იმას ნიშნავს, რომ ღმერთი არ მიყვარს!

ვინც მიყვარს, მასთან სიამოვნებით ვსაუბრობ. დიდი ხნით საუბარიც კი მოკლედ მეჩვენება და შეუმჩნევლად გადის დრო. ლოცვაზე კი გაჭირვებით ვდგები, ძალდატანებით და ლოცვის რამდენიმე წუთი წელიწადად მეჩვენება. სურვილი მიჩნდება სასწრაფოს მივატოვო ლოცვა და ყოველდღიური საქმეების კეთებას მივყო ხელი. საბაბსაც კი ვეძებ, რომ ჩქარა დავამთავრო ლოცვა, ამიტომ მე ვხედავ, რომ ღმერთი არ მიყვარს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სურვილი მექნებოდა ყოველთვის მესაუბრა მასთან, მეფიქრა მასზე.

ვინც მიყვარს, მასთან შეხვედრა მსურს. ტაძარში კი გულგრილად, უხალისოდ მივდივარ; ვერ ვგრძნობ ღვთის სახლში ყოფნას. ესე იგი მე ღმერთი არ მიყვარს. თვით ლოცვის დროსაც კი არ ვფიქრობ ღმერთზე, არამედ რაღაც განყენებულზე და ზოგჯერ, ლოცვის დამთავრების შემდეგ, იმასაც ველარ ვხვდები, დილის ლოცვები წავიკითხე თუ საღამოსი. თვით ლოცვისთვის განკუთვნილ დროსაც კი არ ვუძღვნი ღმერთს.

თუ ვინმე გვიყვარს, მის ნება-სურვილს სიამოვნებით ვასრულებთ. უფალმა თქვა: „ვისაც მე ვუყვარვარ, ის ჩემს მცნებებს ასრულებს“. მე რომ ღმერთი მყვარებოდა, მის მცნებებს, ზეპირად ვისწავლიდი და შევეცდებოდი შემესრულებინა ისინი. ახლა კი რომ მკითხო, ღვთის მცნებები რომელიაო, ვერაფერს გიპასუხებთ. ამიტომ მე ვხედავ, რომ ღმერთი არ მიყვარს. როდესაც არჩევანის წინაშე ვდგები, ვიმოქმედო ღვთის ნების მიხედვით თუ ჩემი ავხორცი გულისთქმებით, უმეტეს შემთხვევაში, საკუთარი ცოდვების მიხედვით ვმოქმედებ. მაშასადამე, მე ღმერთი არ მიყვარს.

რაც შეეხება ადამიანის სიყვარულს, ვსწავლობდი რა საკუთარ თავს და ჩემს ცხოვრებას, მივხვდი, რომ მე, ჩემი თავის გარდა, არავინ მიყვარს. როდესაც ადამიანი გვიყავრს, მასში მხოლოდ სიკეთეს ვხედავთ. მე კი ადამიანებში ვხედავ ცუდს, ბოროტებას, ვხედავ მათ ცოდვებს. მარტო საკუთარ თავში ვამჩნევ ღირსებას და სიკეთეს, ესე იგი, მე ადამიანები არ მიყვარს. ვინც გვიყვარს, იმის საქციელს ვამართლებთ; მე კი პირიქით, განვიკითხავ ჩემს გარშემო ყველას, როგორც უღირსებს. ეს იმას ნიშნავს, რომ მე ადამიანები არ მიყვარს. ვინც გვიყავრს, მათ ხალისით ვპატიობთ; მე კი წყენას დიდხანს ვერ ვივიწყებ, შესაძლოა, მთელი ცხოვრებაც კი. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემში არანაირი სიყვარული არ არის. წმინდა წერილში ნათქვამია: „გიხაროდეთ მათთან ერთად, რომელნიც ხარობენ და იტირეთ მათთან ერთად, რომელნიც ტირიან“ (რომ. 12, 15). მაგრამ მე, ვიყურები რა ჩემს გულში, ვხედავ, რომ სრულებით არ მიხარია ადამიანთა კეთილდღეობა და ბედნიერება; მე გულგრილი ვარ მათ მიმართ. მაგრამ ამაზე საშინელს ვხედავ ჩემს თავში: ეს ბედნიერება გულის სიღრმეში მწყინს და პირიქით, როცა ადამიანებს უბედურება ეწევათ ხოლმე, მე გარეგნულად თანავუგრძნობ, შინაგანად კი ბოროტად მიხარია. ამიტომ მე მივხვდი, რომ ადამიანები არ მიყვარს; ჩემში არაფერია წმინდა. ჩემი რწმენა მხოლოდ გარეგნულია.

მე რომ მჯეროდეს სახარების სიტყვებისა, ძრწოლით ვიფიქრებდი ჯოჯოხეთზე, ვიბრძოლებდი ცათა სასუფევლის დამკვიდრებისთვის. ჩემს გაყინულ გულს კი სიკვდილზე და მომავალ ცხოვრებაზე ფიქრი არ ეკარება. მე ვხედავ, როგორ კვდებიან ჩემს გარშემო ადამიანები, მაგრამ ისე ვცხოვრობ, თითქოს მუდამ ვიქნები აქ, ამ ქვეყანაზე. ესე იგი, მე ურწმუნო ვარ, ესე იგი მე არ მეშინია ღვთისა; ბნელი

ძალებიც კი, ღვთის მოძულე ძალები ჯოჯოხეთისა, სახარების სიტყვებით, ძრწიან ღვთის წინაშე; მე კი ეს შიშიც არ გამაჩნია, რომელიც ეშმაკს ეძლევა!..

მე არ მაღელვებს ღვთის გაფრთხილება, რომლითაც მსოფლიოს და მე წინასწარმეტყველთა პირით მოგვმართავს უფალი. მე სრულიად უგრძნობი ვარ. თავი მორწმუნე მგონია, მაგრამ ვცხოვრობ ისე, თითქოს ღმერთი არ არსებობდეს; უფრო მეტიც, როდესაც ცოდვის ჩადება მწყურია და სინდისი მამხილებს, ვცდილობ ჩავკლა, ჩავახშო საკუთარი სინდისის ხმა. ზოგჯერ მეჩვენება, რომ ჩემთვის უკეთესი იქნებოდა, ღმერთი საერთოდ არ ყოფილიყო. ეს იმას ნიშნავს, რომ მე შინაგანად ღვთის მკვლელი ვარ.

მე არ მწამს ღმერთი და არ მიყვარს იგი. წირვაზე დგომისას იმ უწმინდეს წუთებში, როცა სულიწმინდის მადლი მოიცავს ხოლმე ტაძარში მდგომთ, ვხედავ, რომ ამ თვით ანგელოზთათვის საშინელ დროს მე გართული ვარ მანკიერი, ბინძური გულისთქმებითა და მოგონებებით. ტაძარში ყოფნისას ჩემს გულს საღორედ ვაქცევ ხოლმე. ეს იმას ნიშნავს, რომ მე ღმერთი არ მიყვარს. ეს იმას ნიშნავს, რომ არაფერი მწამს წმინდა.

მე სავსე ვარ ამპარტავნებით. გულში ჩემს გარშემო მყოფ ყველა ადამიანზე მაღლა ვაყენებ თავს. რჩეული მგონია საკუთარი თავი. მე ჩემგან კერპი შევქმენი და მხოლოს მას ვცემ თაყვანს. იმისთვის კი არ ვკითხულობ წმინდა წერილს და წმინდა მამათა შრომებს, რომ აღვასრულო ისინი, არამედ იმისთვის, რომ წმინდა წიგნების შესახებ საუბრისას თავი გამოვიჩინო ადამიანთა წინაშე; ხოლო თუ ერის კაცს შევხვდი, მეშინია განვაცხადო, რომ მორწმუნე ვარ, რათა რა დამცინონ და ფანატიკოსი არ მიწოდონ. პირჯვრის გამოსახვისაც კი მრცხვენია ერის კაცთა წინაშე. ჯვრისა, რომლითაც გადარჩა ადამიანთა მოდგმა. ამიტომ მიმაჩნია, რომ მე ვარ ადამიანი, რომელსაც ღმერთი არ უყვარს, სძულს ადამიანები, არა სწამს სიწმინდისა და აღსავსეა სატანური ამპარტევნებით“.

შეძრწუნებულმა მწირმა თქვა: „მამაო, ნამდვილად მოვინანიე ჩემი შეცოდებანი, მაგრამ ეს ცოდვები ვერ დავინახე საკუთარ გულში. რა გავაკეთო იმისთვის, რომ ღმერთი შევიყვარო?“ სქემმონაზონმა უპასუხა: „მთელი ჩემი ცხოვრება ვიღწვი იმისთვის, რომ ღმერთი შევიყვარო. ეს ნიჭი ღვთის მადლით ეძლევა კაცს; მე მხოლოდ რამდენიმე რჩევას მოგცემ: იცი რა არის გამადიდებელი შუშა? მას შეუძლია სინათლის კონცენტრაცია ერთ წერტილში, აიღე და მისი საშუალებით ერთად შეკრიბე მზის სხივები. თუ ამ კონცერნტრირებულ სინათლეს ხეს მიუშვერ, ის თანდათან გაცხელდება და აალდება. ასე გააკეთე შენს გულშიც. იესო ქრისტეს სახელი გულით ატარე, შემდეგ ღვთის სახიერებაზე იფიქრე. იმის შესახებ, რომ შენ ღვთის წყალობის ქვეშ იმყოფები, რომ შენი სიცოცხლის ყოველი დღე - ეს არის ღვთის მიერ შენთვის მოძღვნილი საჩუქარი. სიყვარული მადლიერების გრძნობისაგან იბადება. შემდეგ ყოველდღე იკითხე სახარება: იკითხე იმისთვის, რომ აღასრულო. ყოველ საღამოს იფიქრე იმის შესახებ, როგორ მოიქეცი დღის განმავლობაში, რომელ ცოდვას სძლიე, რომელი მცნება შეასრულე.

თუ გინდა შეიყვარო ადამიანები, ნურასოდეს განიკითხავ მათ; შეეცადე გახსოვდეს, რომ ყოველ მათგანს დაფარული სათნოებები აქვს და თქვი: „ვინც არ უნდა იყოს ეს ადამიანი, ჩემზე უკეთესია“.

შენს მტრებს ფარულად მიაგე წყალობა და ყოველთვის ასე ილოცე: „უფალო, მომეცი ძალა შეგიყვარო ისე, როგორც ადრე ცოდვა მიყვარდა“...

ძმანო და დანო, ღვთისა და მოყვასის სიყვარულის უმაღლესი ხარისხი თავგანწირული სიყვარულია: როცა ძმებისთვის სწირავ სიცოცხლეს, არ ღალატობ ღვთის რწმენას, მაშინაც კი, როცა სიკვდილი გემუქრება!..

დღეს წმინდა ეკლესია მოწამეების: შალვა, ბიძინა და ელიზბარის ხსენებას დღესასწაულობს. მათ შეასრულეს ორი უდიდესი მცნება: „სიყვარული ღვთისა და სიყვარული მოყვასისა“. ისინი ცხოვრობდნენ საქართველოსთვის უმძიმეს ხანაში. ქვეყანა შაჰ-აბასის შემოდევების გამო გაჩანაგებული და აოხრებული იყო. როდესაც ეს დამპყრობელი და ტირანი მოკვდა, სპარსეთის ტახტზე ავიდა შაჰ-აბას II. ის იშვიათად ომობდა მეზობელ ქვეყნებთან, უყვარდა ხელოვნება და პოეზია. თუმცა, საქართველოსთან იმავე პოლიტიკას ეწეოდა, რასაც მისი წინამორბედი. ის საქართველოში, განსაკუთრებით კახეთში, აგზავნიდა თურქმენულ მომთაბარე ტომებს, რომლებიც ანადგურებდნენ ნათესებს, ჩეხავდნენ ვენახებს, ძარცვავდნენ სოფლებს და ტყვედ მიჰყავდათ მათი მცხოვრებნი. ქვეყანა ისე იყო გაჩანაგებული და დაცარიელებული, როგორც მინდორი კალიის შემოსევის შემდეგ.

წმინდანთა ცხოვრების აღმწერელი ამბობს, რომ როცა ეკლესიებში ყველა კანდელი ჩაქრა - თვით ალავერდის საკათედრო ტაძარშიც კი - მაშინ წმინდა ერისთავებმა გადაწყვიტეს, საკუთარი სიცოცხლე მსხვერპლად შეეწირათ სამშობლოს თავისუფლებისათვის. მათ შეკრიბეს მცირერიცხოვარი ჯარი. მოულოდნელად დაესხნენ თავს თურქმენებს და გაანადგურეს ისინი, მხოლოდ ერთმა უშველა თავს გაქცევით და ირანის შაჰს მომხდარის შესახებ ამბავი მიუტანა. ირანის შაჰმა საქართველოს მეფეს მოსთხოვა, რომ აჯანყებული ერისთავები მისთვის გაეგზავნა, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოში ხელახალი შემოსევებით იმუქრებოდა. ერისთავებმა რომ გაიგეს ამის შესახებ, თავად ეახლნენ მეფეს... და ისინი გადასცეს სპარსელებს. მათ შეეძლოთ დამალულიყვნენ ან წინააღმდეგობა გაეწიათ, მაგრამ იცოდნენ, რომ ეს გამოიწვევდა ომს, ხელახალ უბედურებას და ხალხის ტანჯვას. ამიტომ გადაწყვიტეს, საკუთარი სისხლით ჩაეცხროთ შაჰის მრისხანება.

შაჰმა ისინი დაღუპულ თურქმენთა ნათესავებს გადასცა. მათ საშინლად აწამეს ისინი, ტანთ გახადეს, შეკრეს, სხეულზე თაფლი წაუსვეს და მცხუნვარე მზეზე დააწვინეს. წმიდანებს გარს შემოეხვია კრაზანებისა და ფუტკრების ჯარი და ისე დაკბინა, რომ სხეულები დაუსივდათ. შემდეგ შალვას და ელიზბარს ხმლით მოჰკვეთეს ხელფეხი, და როგორც სამიზნეებს, იარაღით დაუწყეს სროლა. ხოლო ელიზბარს, როგორც იაკობ სპარსს, უფრო მძიმე სასჯელი მოუმზადეს. მას - ხელ-ფეხის მტევნებიდან დაწყებული - ასო-ასო აჭრიდნენ სხეულის ნაწილებს. ის კი ამ დროს „მრწამსს“ და „მამაო ჩვენოს“ ამბობდა. შემდგომში, წმინდა მოწამეების სხეულები ფარულად გამოსთხოვეს სპარსელებს და ჩამოასვენეს საქართველოში.

ძმანო და დანო! წამების წინ წმინდა ერისთავებს შესთავაზეს მუსულმანობის მიღება, რისთვისაც შეწყალებას ჰპირდებოდნენ. მუსულმანებს აქვთ შარიათის კანონი, რმოლის თანახმადაც რაც უნდა

გააკეთოს ადამიანმა, ყველაფერი ეპატიება, თუ ის მუსულმანობას მიიღებს. ამიტომ სთავაზობდნენ ხოლმე მუსულმანები წმიდანებს ისლამის მიღებას და ჰპირდებოდნენ არა მარტო პატიებას, არამედ უდიდეს პატივსაც... მაგრამ მათ მაინც მოწამეობრივი სიკვდილი არჩიეს.

წმინდანთა ცხოვრება ცხოვრებაში განხორციელებული სახარებაა!.. დღევანდელი სახარება გვახსენებს, რომ მცნებათა შორის უმთავრესი და ადამიანის ცხოვრების მიზანი არის სწრაფვა, შეიყვაროს უფალი, ანუ მიუძღვნას მას მთელი გული; ეს არის სწრაფვა, გიყვარდეს ყოველი ადამიანი ისე, როგორც ყველაზე ახლობელი. ეს მცნებები მოითხოვენ უზარმაზარ შრომას და თავგანწირვას. სამაგიეროდ, უფალი დიდ ჯილდოს გვპირდება ამისთვის. ვინც გულით სიყვარულს ატარებს, ის ისე გამოირჩევა სხვა ადამიანებისგან, თითქოს მისი გული ძვირფასი ქვა იყოს, რომელიც უხილავ ნათელს ასხივებს. ამ სინათლის საკუთარი თვალით დანახვა შეუძლებელია, მაგრამ სხვა ადამიანები გრძნობენ მას. ამიტომაც იკრიბებოდნენ, ძმანო და დანო, მონაზვნები მეუდაბნოე და განდეგილ ბერებთან; შორეულ მონასტრებში მიდიოდა ხალხი, რათა გამთბარიყო ამ, ქვეყნიერებისათვის უხილავი, სიყვარულის სხივებით.

ძმანო და დანო! ჩვენი ქრისტიანობა ჩვენს გულში არსებული სულიერი სიყვარულით იზომება. მცნებები: „სიყვარული ღვთისა და სიყვარული მოყვასისა“ არის ფრთები, რომლებსაც ადამიანი მაღლა აჰყავს. თუ ადამიანში სიყვარული არ არის, ის საცოდავ ჭიაყელას ჰგავს, რომელიც უმწეოდ დახოხავს მიწაზე და არ შეუძლია მტვრიდან და ხრწნადი სიბინძურიდან წამოდგომა.

იოანე ოქროპირის ლოცვაში, რომელსაც ჩვენს საღამოობით ვკითხულობთ ხოლმე, არის სიტყვები, თხოვნა სიყვარულის მინიჭების შესახებ. ჩვენც ვთხოვოთ უფალს:

„უფალო, მომანიჭე მე მადლი, რათა შეგიყვარო შენ;

უფალო, მომანიჭე მე ძალა, რათა შევასრულო ნება შენი;

უფალო, მომანიჭე მე მხნეობა, რათა უარვყო ამპარტავნება ჩემი!“

ამინ!